10/06/2024

MES 1 24 0000642800

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს თამარისი:
ზაზა კილაძე - სკოლის დირექტორის მოადგილე.

შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლა:

ქეთევან დოჩანაშვილი - სკოლის დირექტორი.
ირინა დვალი - ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School:
ლელა ფიცხელაური- ხარისხის მართვის კონსულტანტი
ირმა მესხიშვილი- სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომშიექსპერტე ბი):

შპს თამარისი:
ა) ქეთევან ბაცანკალაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ია ქურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლა:

ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნანა ედიშერაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ინგა ლომაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამთა პეტრიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნინო მარღიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარინე ხუციშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School:

ა) გულნარა ხაბურზანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მერი ქვრივიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მაკა ნადარეიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლედი კუთხაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ლაშა სარალიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარ კვანტიძე(სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ევგენი გუგულაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნატო ხაჭაპურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 27 მაისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს თამარისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა. Georgian-American School - ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე

შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს თამარისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა ქეთევან ბაცანკალაშვილმა. ექსპერტმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში არაგეგმიური ვიზიტი განხორციელდა, 2024 წლის 25 მარტს. დაწესებულება მდებარეობდა ქ. ბათუმში, რისმაგ გორდეზიანის ქუჩა, N 3ა- ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს სკოლაში აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 176-ს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არაგეგმიური ვიზიტის საფუძველი გახლდათ 2024 წლის 06, 11 და 12 მარტს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული N277164, N290325 და N296529 კორესპონდენციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს თამარისში (ქ. ბათუმი) არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული შესაძლო ბულინგის შესახებ. კერძოდ, 2024 წლის 9 თებერვალს, ერთ-ერთი პირველკლასელი თანაკლასელებმა, სავარაუდოდ, საკლასო ოთახში გააშიშვლეს და სცემეს, არსებული ინფორმაციით ამ ფაქტს შეესწრო პედაგოგიც, რომელსაც არ მოუხდენია შესაბამისი რეაგირება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მედიის ცნობით, ზემოაღნიშნული ფაქტი არ წარმოადგენდა ბავშვის მიმართ ძალადობისა და ბულინგის ერთადერთ ფაქტს და კონკრეტული მოსწავლის მიმართ თანაკლასელებს წარსულშიც ჰქონდათ აგრესია. მედიის ცნობით, ფაქტზე გამოძიება დაწყებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით, რომელიც გულისხმობს ძალადობას.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ზოგადი ინფორმაცია სკოლის შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებსა და დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, გახანგრძლივებული სწავლების სახით. ასევე, სკოლაში იყო კეთილმოწყობილი გარემო და მშობლები გამოთქვამდნენ კმაყოფილებას დაწესებულების მიერ მიწოდებული სერვისებით.

რაც შეეხებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არაგეგმიური მონიტორინგის შედეგებს, ექსპერტმა, ქეთევან ბაცანაკალაშვილმა განმარტა, რომ სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები და მშობლები არ ადასტურებდნენ მოსწავლის გაშიშვლებისა და ცემის ფაქტს. ექსპერტის ცნობით, ინციდენტი მოხდა პირველკლასელ მოსწავლეებს შორის, გაკვეთილების შემდგომ გახანგრძლივებული სწავლების დროს, როდესაც ორ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ერთი მასწავლებელი. ზემოაღნიშნული ინციდენტის დროს მასწავლებელი გასული იყო მეორე ჯგუფის ოთახში, დავალების ინსტრუქტაჟის მიზნით, რა დროსაც პირველკლასელ მოსწავლეს თავად აუწევია ხელები ზემოთ, რამაც გამოიწვია შარვლის ჩაძრობა. მშობლების ცნობით, მოსწავლეს მანამდეც გაუკეთებია მსგავსი რამ, რასაც მხოლოდ იუმორისტულად შეხედა ყველა მხარემ, აღნიშნულის დამადასტურებელი ფაქტები არსებობდა, თუმცა პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან არ მომხდარა გაცნობა. ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოსწავლე კლასელებს წინ უსწრებდა ფიზიკური და გონებრივი განვითარებით და მას მუდმივად ჰქონდა მცირედი უთანხმოებები თანაკლასელებთან, რის შედეგადაც მშობელს დაწესებულებამ ჯერ კიდევ ინციდენტამდე ურჩია ფსიქოლოგთან კონსულტაცია და კლასის შეცვლა, რაზეც მშობლის მხრიდან მიიღეს უარი.
ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა დასძინა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის მტკიცებით, ადმინისტრაციამ ზემოაღნიშნული ინციდენტის შესახებ გაიგო მშობლებისგან, რომლებთანაც ინფორმაცია სოციალური ქსელის შიდა დახურულ ჯგუფში გავრცელდა და მხოლოდ ამის შემდგომ დაიწყო საკითხის შესწავლა, კერძოდ, შეხვდნენ აღნიშნული მოსწავლისა და კლასის სხვა მშობლებს, გარდა ამისა, სკოლის დამფუძნებელი გაესაუბრა მოსწავლეებს, მათთვის მარტივად გასაგები ტერმინოლოგიით. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით დაწესებულებამ გაატარა გარკვეული ღონისძიებები, კერძოდ, დაიგეგმა და განხორციელდა კლასში მოსწავლეთა დამეგობრების სესიები, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული მშობლები, ასევე დაიგეგმა შეხვედრები მოწვეულ ფსიქოლოგთან. მისი განცხადებით, მომჩივანი მშობლის განსაკუთრებული წყრომა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მას არ აკმაყოფილებდა სკოლის მხრიდან გადადგმული ზემოაღნიშნული ზომები და ითხოვდა ინციდენტში სავარაუდოდ ჩართული მოსწავლეების სკოლიდან გარიცხვას, რაზეც ადმინისტრაციის მხრიდან მიიღო უარყოფითი პასუხი. საბოლოოდ, მშობელმა თავისი ინიციატივით გადაიყვანა მოსწავლე შპს თამარისიდან და მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ შესაბამის უწყებას ფაქტის გამოძიების მიზნით.

ექსპერტმა ისაუბრა არაგეგმიური მონიტორინგის დროს გამოვლენილ სხვა გარემოებებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო ხუთსართულიანი, ხოლო მეხუთე სართული არ ფიქსირდებოდა საჯარო რეესტრის ამონაწერსა და შენობა-ნაგებობის საერთო ფართში, თუმცა ამ სართულზე განთავსებული იყო სპორტული დარბაზი, რომელსაც სკოლა იყენებდა უამინდობის დროს. ასევე, დაწესებულების მესამე სართულზე განთავსებული იყო საბავშვო ბაღი (მაგრამ არ მიმდინარეობდა საგაკვეთილო პროცესი). ექსპერტის თქმით, სკოლამდელი განათლების მიმღებებისა და მოსწავლეების გადაკვეთა მაინც ხდებოდა, შესაბამისად სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2024 წლის 1-ლი მაისიდან საბავშვო ბაღთან შეეწყვიტა ხელშეკრულება. გარდა ამისა, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის დროს სკოლის ტერიტორია არ იყო სრულად აღჭურვილი ვიდეო-სათვალთვალო სისტემით, ასევე შენობის მე-3 და მე-4 სართულის დერეფნებში დამონტაჟებული იყო ბუნებრივ აირზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი მოწყობილობები. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლამ ვერ წარმოადგინა მოსწავლისთვის შემუშავებული და დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. აღნიშნული დოკუმენტები და მტკიცებულებები სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად. აღსანიშნავი იყო ისიც, რომ მშობლებს არ ჰქონდათ ინფორმაცია შპს „ეტალონთან“ სკოლის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულების თაობაზე, რომელიც ახორციელებდა გახანგრძლივებული სწავლების სერვისს. სკოლასა და მშობლებს შორის

გაფორმებული ხელშეკრულება არ მოიცავდა პირობებს გახანგრძლივებული სწავლების შესახებ დამატებითი მომსახურების არსებობის თაობაზე, თუმცა, მოგვიანებით სკოლამ წარმოადგინა მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება გახანგრძლივებულ ჯგუფში მომსახურების გაწევის თაობაზე, რომელშიც განსაზღვრული იყო მომსახურების მიზნები, პირობები და დაკონკრეტებული იყო საგნები, რომელთა სწავლებასაც ახორციელებდა გახანგრძლივებულ ჯგუფებში.

ქეთევან ბაცანკალაშვილმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისად“, კომპონენტი 3.1 (პერსონალის მართვა) „მეტწილად“, 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) კი „ნაწილობრივ“ შესაბამისად. რაც შეეხებოდა მე-4 სტანდარტს (მოსწავლეთა მხარდაჭერა) და კომპონენტებს 4.1 (მოსწავლეთა უფლებების დაცვა), 4.2 (მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები) ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა შესაბამისად.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ ან „ნაწილობრივი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, განაცხადა, რომ როგორც ირკვეოდა მოსწავლეს ინციდენტამდეც ჰქონდა პრობლემები თანაკლასელებთან და იგი არაერთხელ გამხდარა ბულინგის მსხვერპლი. საბჭოს წევრი დაინტერესდა რა კონკრეტული ღონისძიება გაატარა სკოლამ განმეორებითი შემთხვევის პრევენციისათვის.
სკოლის დირექტორის მოადგილემ, ზაზა კილაძემ, განაცხადა რომ კლასში უთანხმოების მიზეზი ხშირად ხდებოდა მოსწავლის მიერ სპორტის გაკვეთილებზე ნივთების გაზიარების საკითხი. სკოლის ადმინისტრაციის დავალებით, საწყის ეტაპზე, კლასის დამრიგებელი იღებდა ზომებს და ესაუბრებოდა მოსწავლეებს. დირექტორის მოადგილის განცხადებით, განმეორებითი შემთხვევის შემდეგ მათ დაიბარეს მშობელი და მიაწოდეს ინფორმაცია. სკოლამ ასევე მიმართა ფსიქოლოგს, რომელიც მთელ კლასს ესაუბრებოდა იმ კონკრეტულ საკითხებზე, რომელიც ხდებოდა კონფლიქტის მიზეზი.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, ასევე დაინტერესდა ბოლო ინციდენტის შემდეგ გატარებული ღონისძიებებით და სკოლის წარმომადგენელს სთხოვა მეტი დეტალი წარმოედგინა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის მოადგილემ, ზაზა კილაძემ, განაცხადა რომ ინციდენტის შემდგომ, სკოლის ადმინისტრაცია და კლასის დამრიგებელი ატარებდნენ შეხვედრებს მშობლებთან და ბავშვებთან, როგორც ერთად ასევე ინდივიდუალურად. შეხვედრების მიზანი იყო გამოკვლეულიყო შემთხვევის დეტალები. ამავე მიზეზით მშობლებმა დამოუკიდებლად შექმნეს კომისია და დაიწყეს საკითხის უკეთ შესწავლა.
საბჭოს თავჯდომარის, დავით მალაზონიას, განცხადებით სახალხო დამცველის აპარატის მიერ ცენტრში წარდგენილი წერილით, რომელიც, ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, შემოსული იყო სკოლაში ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის სკოლაში გაგზავნის შემდგომ და ექსპერტებისთვის არ იყო ცნობილი აღნიშნული წერილის თაობაზე, მოცემული იყო ინფორმაცია, რომ ამ შემთხვევისას არასრულწლოვანს ხუთმა თანაკლასელმა გახადა ტანსაცმელი და სცემა, რაზეც სკოლას რეაქცია არ ჰქონია. საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა, რატომ გაუჩნდა მშობელს მსგავსი რეაქცია მაშინ, როდესაც სკოლის განმარტებით, ფაქტი მოხდა შემთხვევით ან მოსწავლემ ჩაიდინა

თვითნებურად. დირექტორის მოადგილის განცხადებით მომჩივანი მხარის მშობელი თავიდანვე არ გამოხატავდა მიმღებლობას მათ მიერ გაცემული რჩევების მიმართ და მოითხოვდა სკოლის მხრიდან ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომლის შესრულება შეუძლებელი იყო. უფრო კონკრეტულად მშობელი ითხოვდა ინციდენტში მონაწილე მოსწავლეების სკოლიდან გარიცხვას.
საბჭოს მდივანი, მანანა ჯინჭარაძე დაინტერესდა კონკრეტულად ვის მიერ და რა სახის რჩევები იყო გაცემული მომჩივანი მშობლის მიმართ.
ზაზა კილაძის განცხადებით, მშობელს ესაუბრა ფსიქოლოგი და ურჩია რომ მოსწავლეს სჭირდებოდა ინდივიდუალური ფსიქოლოგიური მომსახურება.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა ინციდენტამდე თუ ფიქსირდებოდა მშობელთა უკმაყოფილება სკოლის მხრიდან მოსწავლეთა მიმართ დამოკიდებულებებზე.
სკოლის დირექტორის მოადგილემ, ზაზა კილაძემ განაცხადა, რომ სკოლაში მსგავსი ფაქტი არ იყო დაფიქსირებული.
საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა კლასის დამრიგებელსა და გახანგრძლივებული ჯგუფის პედაგოგს ერთმანეთთან კომუნიკაცია მოსწავლეების საჭიროებებთან დაკავშირებით. ზაზა კილაძემ განაცხადა, რომ კლასის ხელმძღვანელი და გახანგრძლივებულის პედაგოგი ერთმანეთს უზიარებდნენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.
საბჭოს მდივანი, მანანა ჯინჭარაძე, დაინტერესდა ჰქონდა თუ არა ნანახი ექსპერტთა ჯგუფს სკოლის მიერ შპს ეტალონთან გაფორმებული ხელშეკრულება და სთხოვა მეტი დეტალი წარმოედგინათ ამ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტმა, ია ქურიძემ განაცხადა, რომ მათ დეტალურად შეისწავლეს ხელშეკრულებები და აღმოაჩინეს, რომ მშობლებს არ ჰქონდათ ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ სკოლაში გახანგრძლივებულ გაკვეთილების განხორციელებას უზრუნველყოფდა არა სკოლა არამედ სხვა შპს. ამასთან ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვინაიდან ეს იყო ცალკე ორგანიზაცია, სკოლისთვის რიგი საკითხები, როგორიც იყო შპს-ს მასწავლებელთა კვალიფიკაცია, გამოცდილება და სხვა, არ რეგულირდებოდა სკოლის მიერ. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია, სკოლას შპს “ეტალონისთვის დაედგინა გარკვეული პირობები მასწავლებელთა კვალიფიკაციას შესახებ და უზრუნველეყო მშობლების ინფორმირება. ექსპერტის განცხადებით სკოლამ აღნიშნული რეკომენდაციები გაითვალისწინა და დამადასტურებელი დოკუმენტაცია გადმოაგზავნა ცენტრში.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია და საბჭოს წევრი ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდნენ რა მექანიზმები გააჩნდა სკოლას ან თავად კლასის დამრიგებელს შპს “ეტალონის” პედაგოგების საქმიანობის მონიტორინგისთვის.
სკოლის დირექტორის მოადგილემ განმარტა, რომ გახანგრძლივებულის პედაგოგი თვეში სამჯერ ამზადებდა მოხსენებით ბარათს საგაკვეთილო პროცესის შესახებ, სადაც ასახული იყო განხორციელებული და მიმდინარე აქტივობები, მოსწავლეთა საჭიროებები და სხვა. მოხსენებით ბარათს ეცნობოდა კლასის დამრიგებელი.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ განაცხადა, რომ სკოლასა და აღნიშნულ შპს-ს შორის არსებული თანამშრომლობისას არ იყო დაცული მოსწავლეთა უსაფრთხოება. საბჭოს წევრის განცხადებით სკოლას უნდა ჰქონოდა კონკრეტული მექანიზმები, რაც უზრუნველყოფდა გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებელთა საქმიანობის მონიტორინგს და მოსწავლეთა ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ სკოლის წარმომადგენელსა და ექსპერტებს სთხოვა დაეზუსტებინა რა პოზიცია ჰქონდა კლასის დამრიგებელს მოსწავლეებს შორის არსებულ ურთიერთობასთან დაკავშირებით.

ექსპერტის, ქეთევან ბაცანკალაშვილის, განცხადებით კლასის დამრიგებლის პოზიცია და დამოკიდებულება იყო საკმაოდ ზომიერი და არ მიიჩნევდა რომ მოსწავლეთა შორის იყო მწვავე კონფლიქტი. ექპერტის განცხადებით დამრიგებელი აღნიშნავდა, რომ ვინაიდან მოსწავლე არ იყო საქართველოს მოქალაქე, ჰქონდა გარკვეული სახის სირთულეები, თუმცა მარტივად ახერხებდა კლასში ინტეგრაციასაც.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა სკოლაში რა ენაზე მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი.
ექსპერტმა ქეთევან ბაცანკალაშვილმა განაცხადა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, თუმცა ვინაიდან კლასში ყველა მოსწავლე იყო არაქართულენოვანი, გახანგრძლივებული გაკვეთილები ტარდებოდა მათ მშობლიურ ენაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თამარისის ავტორიზაციასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო 17:10
დასრულების დრო 17: 20

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის მე-4 და მე-19 პუნქტების შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თამარისის (ს/კ: 446966025) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ივნისიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - 1-ლი, მე-2 (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 სტანდარტები.

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით:**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა, 2026 წლის ივნისში, 3.4 კომპონენტთან მიმართებაში დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება. კერძოდ სკოლამ უნდა უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებისა და შეთანხმების, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარდგენა ცენტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა რომ მონიტორინგის მიზეზი გახდა ის გარემოებები რომელიც დაკავშირებული იყო გახანგრძლივებული გაკვეთილების განხორციელებასთან, სასწავლო პროგრამების სრულყოფასა, მშობელთა ინტერესების დაცვასთან და იმასთან თუ როგორ იყო ასახული აღნიშნული საკითხები სკოლის მისიასა და ხედვაში.

2. შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა.
ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 28 და 29 მარტს. სკოლა მდებარეობდა თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., III კვარტ., N8ა- ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 450 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 450- მოსწავლისთვის ორ ცვლაში. ექპერტის განცხადებით ერთ ცვლაში სკოლა ვერ უზრუნველყოფდა 450 მოსწავლის განთავსებას, გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის თანახმად „მე-2 შენობას ჰქონდა 4 მიწისზედა სართული, რაც არ აკმაყოფილებდა სეისმური ნორმების მოთხოვნებს და საჭირო იყო მეოთხე სართულის გამოყენება განხილულიყო სამეურნეო დანიშნულებით“. მე-4 სართულზე კი სკოლის განცხადებით იგეგმებოდა საკლასო ოთხების მოწყობა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველი, მეორე მესამე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტი 3. 4 კი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განცხადებით, თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა ასევე გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა ქმნიდა დადებით გარემოს მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის. სკოლას ჰქონდა სტანდარტის შესაბამისად აღჭურვილი სააქტო დარბაზი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და ლიფტი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ერთ-ერთი რჩევა ეხებოდა ამწოვი სისტემის დამონტაჟებას საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში და სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა რა იყო მიზეზი იმისა, რომ სკოლას აღნიშნული საკითხი არ ჰქონდა მოგვარებული.
სკოლის დირექტორმა, ქეთევან დოჩანაშვილმა განაცხადა, რომ სკოლამ საწყის ეტაპზე უზრუნველყო ყველა დოკუმენტის შესწავლა, რომელიც არეგულირებდა ლაბორატორიის მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებს და აღნიშნა, რომ დოკუმენტაციის მიხედვით ლაბორატორიაში უნდა ყოფილიყო ან ამწოვი კარადა ან ფანჯარა. დირექტორის განცხადებით, ვინაიდან არსებულ ოთახს ჰქონდა ორი ფანჯარა მათ აღარ მიიჩნიეს საჭიროდ ამწოვი სისტემის დამონტაჟება, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ სკოლამ გაითვალისწინა მათი რჩევა და აღნიშნული ხარვეზი გამოასწორა.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა იყო თუ არა სკოლა მზად შესაბამისი მომსახურება გაეწია 450 მოსწავლისთვის, მაშინ როცა სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის თანახმად საჭირო იყო მეოთხე სართულის გამოყენება სამეურნეო დანიშნულებით.
სკოლის დირექტორის, ქეთევან დოჩანაშვილის, განაცხადებით სასამართლო ექსპერტიზის დასკვნაში ეწერა, რომ შენობის ოთხივე სართული იყო სეისმურად მდგრადი. დოკუმენტში ასევე ნახსენები იყო რომ დაწესებულებების სართულიანობა კანონმდებლობის მიხედვით არ უნდა აღემატებოდეს სამ მიწისზედა სართულს. აღნიშნული კი განპირობებული იყო მხოლოდ იმით რომ ამ შემთხვევაში მარტივდებოდა შენობიდან ევაკუაცია. დირექტორმა ასევე განაცხადა რომ აღნიშნული სკოლა იდგა დაღმართზე და საევაკუაციო გასასვლელის მხრიდან შენობა იყო სამსართულიანი, რაც არ არღვევდა კანონმდებლობით განსაზღვრულ წესს. სკოლას ამ ეტაპზე ჰქონდა 500-ზე მეტი სასკოლო მერხი და სკამი, ამასთან ნაწილი მერხებისა განთავსებული ჰქონდათ მეოთხე სართულზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, განაცხადა რომ სკოლას მეორე სტანდარტთან დაკავშირებით მიღებული ჰქონდა არაერთი რჩევა და სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს მეტი დეტალი წარმოედგინათ აღნიშნულთან დაკავშირებით.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა, ინგა ლომაძემ განაცხადა, რომ სასკოლო სივრცე ზუსტად იყო მოსწავლეებზე გათვლილი. მის მიერ გაცემული რჩევები კი ძირითადად ეხებოდა კურიკულუმებში ტექნიკურ საკითხებს, როგორიც იყო საკითხებისა და განმავითარებელი შეფასებების უფრო სრულყოფილად და გამოკვეთილად წარმოდგენა.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, ხათუნა ჯიმშიაშვილმაც დაადასტურა, რომ რჩევები რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა გასცა ძირითადად იყო ტექნიკური ხასიათის.

მაგალითად კონკრეტული თემის ფარგლებში გამორჩენილი იყო სამიზნე ცნება. ექსპერტის განცხადებით გასაუბრებისას პედაგოგებმა გამოხატეს მზაობა გაეთვალისწინებინათ და გამოესწორებინათ უზუსტობები.
ესთეტიკური აღზრდის ექსპერტი, ნინო როსტომაშვილი, დაეთანხმა ზემოხსენებულს და ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე. მისი განცხადებით პროექტული სწავლების ფარგლებში მოსწავლეებს მასწავლებელმა დაამზადებინა გამოყენებითი ხელოვნებისა და დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები, სხვადასხვა საიუველირო ნაწარმი, რომელიც შემდგომში შეფასდა და გამოფენებზე გასაყიდად მომზადდა.
ზოგადი განათლების ხარისხის განვითარების ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლამ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია დაამტკიცა 2023 წლის 24 ივლისს. ვინაიდან აღნიშნული მეთოდოლოგია იყო სკოლისათვის ახალი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რჩევები მონიტორინგისა და რევიზიის საკითხებთან დაკავშირებით. ნანა ედიშერაშვილის განცხადებით, კათედრებმა გამოხატეს მზაობა მოცემული რჩევების გათვალისწინებისა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ სთხოვა სკოლის წარმომადგენელს მეტი დეტალი წარმოედგინათ სასწავლო პროგრამის ხარისხის განვითარების მექანიზმთან დაკავშირებით.
ქართული ენისა და ლიტერატურის პედგოგმა, ირინა დვალმა განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა ვერიფიკაციის მექანიზმი, მიმდინარეობდა შეფასების ინსტრუმენტების შესწავლა და კათედრების აქტიური მუშაობა რეალურ პრობლემებზე. ამ ეტაპზე კი იწყებოდა დიაგნოსტიკური წერები.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა რომ სკოლას დამტკიცებული ჰქონდა პედაგოგიური საბჭოს დებულება, რომლის მიხედვითაც პედაგოგიური საბჭოს ხელმძღვანელობა შეეძლო მხოლოდ სკოლის დირექტორს. საბჭოს წევრმა სკოლის დირექტორს სთხოვა დაეზუსტებინა აღნიშნულ საკითხი.
სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ მოცემული ჩანაწერი იყო ტექნიკური ხარვეზი და სკოლა აპირებდა მის გასწორებას. დირექტორმა ასევე განაცხადა, რომ სინამდვილეში სკოლაში მიმდინარე პროცესებში ჩართული იყო ყველა პედაგოგი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450-ით განსაზღვრის საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო 17:10
დასრულების დრო 17: 20
კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის

შესაბამისად, შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლას(ს/კ: 404903734) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., III კვარტ., N8ა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., III კვარტ., N8ა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., III კვარტ., N8ა

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა მონიტორინგი, ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:

- 2025 წლის ივნისში, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინოს 3.4 კომპონენტთან მიმართებაში დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა- Georgian-American school-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა გულნარა ხაბურზანიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს ქართულ-ამერიკული სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 04 და 05 აპრილს. სკოლა მდებარეობდა ორ მისამართზე: თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. N6-ში, სადაც სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას და თბილისი, ვაკე-საბურთალო ი. ჭავჭავაძის გამზირი II ჩიხი N7-ში, სადაც სკოლა ახორციელებდა საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 800 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლამ წერილით მიმართა ცენტრს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 860-ით განსაზღვრის თაობაზე, რასაც ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი რადგან დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 860- მოსწავლისთვის.
ექსპერტმა გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა და ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნებოდა როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო აკრედიტაციის ფარგლებში განათლების სტანდარტებს. 2022 წლიდან შპს ქართულ-ამერიკული სკოლა-Georgian-American school იყო College Board-ის წევრი. 2023 წელს სკოლა გახდა ამერიკის შეერთებული შტატების მააკრედიტებელი ორგანიზაციის „Cognia, Inc.“ North Central Association of Colleges and Schools-ის აკრედიტირებული სკოლა. ექსპერტის განცხადებით სკოლა იყო SAT გამოცდების პროვაიდერი საქართველოში, რომელიც უზრუნველყოფდა სასერტიფიკატო გამოცდების ჩატარებას, როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის. სკოლა პრიორიტეტს ანიჭებდა კონსტრუქტივისტულ მიდგომას. დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტებიდან და ადგილზე დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას სხვადასხვა მიმართულებით ჰქონდა ძლიერი მხარეები. კერძოდ: საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება/დანერგვა სასწავლო პროცესში; კვლევაზე ორიენტირებული ინტერაქტიული ფორმალური და არაფორმალური სასწავლო აქტივობები; სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების ერთიანი ხედვა

სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მიმართულებით; მოსწავლის საჭიროებაზე ორიენტირებული მიდგომები; სკოლის მოსწავლეთა წარმატების მაჩვენებლები, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით და დოკუმენტაციის წარმოების მაღალი კულტურა.
სკოლის ორივე შენობა იყო მრავალსართულიანი, სრულიად უსაფრთხო და ჰქონდა შესაბამისად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რესურსოთახი, სპორტული მოედანი, სამედიცინო კაბინეტი და ბიბლიოთეკა.
გულნარა ხაბურძანიამ ასევე აღნიშნა, რომ ყველა სტანდარტი და კომპონენტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც „შეესაბამება“ სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა განაცხადა რომ სკოლის მიმართ გაცემული იყო მხოლოდ ერთი რჩევა 2.2.2.1 ინდიკატორთან მიმართებით, კერძოდ სკოლას ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი საფეხურის (I-IV) კლასების კურიკულუმში სამიზნე ცნების ქვეცნებები გაეწერა კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა რამდენ სართულიანი იყო თითოეული შენობა და რომელ სართულამდე იყო განთავსებული საკლასო ოთახები.
სკოლის წარმომადგენელმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა რომ ნ. რამიშვილის ქ. N6- ში მდებარე შენობა ხუთ სართულიანი, ხოლო ი.ჭავჭავაძის II ჩიხი N7-ში მდებარე შენობა იყო შვიდ სართულიანი. სკოლის წარმომადგენელმა ასევე განმარტა რომ საკლასო ოთახები სკოლის შენობების ყველა სართულზე იყო განთავსებული. ამასთან ი.ჭავჭავაძის II ჩიხი N7-ში მდებარე შენობა განლაგებული იყო დახრილ რელიეფზე და რელიეფის თავისებურებიდან გამომდინარე შენობაში შესვლა შესაძლებელი იყო როგორც პირველი, ასევე მეოთხე სართულიდან , რაც ამარტივებდა მოსწავლეთა გადაადგილებას.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იყო ხელშეკრულება რომლითაც დასტურდებოდა სკოლაში ბუფეტის არსებობა. საბჭოს წევრმა სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა მათ მიერ გათვალისწინებული იყო თუ არა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2023 წლის 24 ნოემბრის ბრძანება, რომლის მიხედვითაც სკოლაში უნდა განხორციელებულიყო მონიტორინგი მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის და ექთნისგან დაკომპლექტებული ჯგუფის მიერ.
სკოლის წარმომადგენელმა ლელა ფიცხელაურმა, განაცხადა რომ სკოლაში შექმნილი იყო მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც შესაბამისი პერიოდულობით ახორციელებდა მონიტორინგს, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ვიზიტის პერიოდში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული სკოლა- Georgian-American school -ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 860-ით განსაზღვრის საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო 18:10

დასრულების დრო 18:20
კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკული სკოლა-Georgian-American school -ს (ს/კ: 404965169) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 860- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, ნ. რამიშვილის ქ. N6
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი,ი.ჭავჭავაძის II ჩიხი N7
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, ი.ჭავჭავაძის II ჩიხი N7

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 18:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა